სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაური ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—6 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა

დ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—14)



## „ბავშვების მოკეთის"

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—30) პატივისცემით ალ. ნათაძე.



## მაქსის ცირკი

მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული

შაბათს, 5 სექტემბერს

მერვე სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.

მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი ლევოვი და მოჯირითე პიერი.

გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის მაქსისა.

დასასრულ გაიმართება ბალეტი

დასაწყისი 8 საათზე

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა

ფასები 30 კაპ. მოყოლებული 4 მანათამდე.

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შარიანად და აფუად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—31)

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ

трехъ величинъ
и

## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ

продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и Кº
Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

## პრესები ყურძნის დასაჭყლეტად

სამი ნაირის ზომისა

იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

## სავაჭრო სახლში

ტფილისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი № 349. ტელეფონი № 349.

(15—9)

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—9)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ზენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშამსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **ქართველი სტუდენტები სპეციალ სასწავლებლებში.** სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენებური ახალგაზდების რიცხვი სპეციალ სასწავლებლებში თანდათან მატულობს; მაგალ. წელს პეტერბურგში ოთხმა-ხუთმა ჩვენებურმა ყმაწვილებმა ძლიერ კარგად დაიჭირა ეგზამენი ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში. ასე რომ ამ ჟამად ათ-თორმეტ ქართველებზე მეტია სხვა-და-სხვა სპეციალ სასწავლებლებში. მართალი რომ ვთქვათ, სრულიად ისე ძნელი არ არის აქაურ სპეციალ სასწავლებლებში ეგზამენების დაჭერა, როგორც უმრავლესობას წარმოდგენილი აქვს; ზოგი ამხანაგები თვითონვე განზრახვით აზვიადებენ ამბებს იქაურ ეგზამენების შესახებ და ამნაირად აშინებენ, იმედს უკარგავენ ახალგაზდა მოსწავლეებს. ჩვენის აზრით ის, ვინც კარგად ათავებს გიმნაზიას და იქაური მეცადინეობის დროს თავისუფლად, ბეჯითად სწავლობს, ორი-სამი თვის მომზადების შემდეგ ადვილად დაიჭერს ეგზამენებს ყველა სპეციალურ სასწავლებლებში; სასურველია მხოლოდ, რომ ისეთი ყმაწვილები ეტანებოდეს სპეციალ სასწავლებლებს, რომლებსაც ბუნებრივი ნიჭი აქვთ მათემატიკის, თორემ ნაძალადევი სპეციალისტი ვერაფერი საიმედო იქნება ვერც ჩვენი ცხოვრებისათვის და ვერც თავისთავისათვის: ეხლანდელ დროში ისე გამრავლდა ინჟინრები, რომ დიდი მოგება ამ ხელობისაგან აღარ რჩება მარტო ჯამაგირის მოიმედეს, თუ თავის-თავად ასეთი სპეციალისტი კარგი მცოდნე და ნიჭიერი არ არის. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენებური სპეციალისტები ყველანი საკმაო ნიჭს და უნარს იჩენენ სპეციალურ ცოდნაში; ერთი მათგანი იმდენად ნიჭიერი და მცოდნე გამოდგა, რომ ჯერეთვე ორი-სამიოდე მისივე ორიგინალი მეხანიკური საშუალებანი აქვს გამოგონილი და მომავალშიაც დიდს იმედს იძლევა; ამ ნაირი მცოდნე ჩვენებური სპეციალისტების გამრავლება დიდად სანუგეშოა ჩვენის ეკონომიურად დაძაბუნებულის ცხოვრებისათვის.

ნ. თ.

*** **მ. საფაროვ-აბაშამას გამგზავრება.** ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი მარიამ საფაროვისა დღეს დილით თერთმეტ საათზე გაემგზავრა საქართველოს სამხედრო გზით საზღვარ-გარეთ ქალაქ ვენაში საექიმოდ. მკითხველებმა უწყიან, რომ ჩვენს ნიჭიერს არტისტ ქალს ამ უკანასკნელ ხუთიოდ წელიწადში ყურთა სმენა დაუშავდა, რის გამო ქართულ სცენაზე იშვიათად გამოდიოდა. ეხლა ძლივს-ძლივობით ჩვენი საყვარელი მსახიობი გაემგზავრა ვენაში, სადაც, როგორც დანამდვილებით ამბობენ, მალე მოარჩენენო.

*** **რკინის გზის ლიანდაგის განახლება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განზრახვა აქვს მომავალ 1899 წ. დააგოს ახალი რელსები უმთავრეს გზაზე 100 ვერსის სიგრძეზე.

*** **საკომერციო სკოლის საქმე ტფილისში.** ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა მიიღო ცნობა, ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება, ხოლო თუ როდის გაიხსნება ეს სასწავლებელი, ჯერ არ იციან. იგი დაექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობისა და მანუფაქტურის განყოფილებას. დირექტორსა და ინსპექტორს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი, მთავარ-მართებელთან შეთანხმებით, იმ კანდიდატებიდან, რომლებსაც წარადგენს სასწავლებლის სამზრუნველო საბჭო. ეს საბჭო შესდგება ადგილობრივ ვაჭართა ხუთი წარმომადგენლისაგან, და აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი წევრისაგან. სასწავლებელი უნდა შეინახონ თავისი ხარჯით ადგილობრივმა ვაჭრებმა. („ნოვ. ობ.“.)

*** **დანაშაულთა და შემთხვევათა რაოდენობა ტფილისში.** გასულ აგვისტოს თვის განმავლობაში ტფილისში მომხდარა: ქურდობა—7, გაძარცვა—1, დაჭრა—4, თავის მოკვლის განზრახვა—3, თავის მოკვლა—1 და მკვლელობა—1. გარდა ამისა, მომხდარა შემდეგი შემთხვევები: ცეცხლის წაკიდება—1, უეცრად გარდაცვალება—3 და ბავშვის მიგდება—3.

*** **ბრძოლა ყაჩაღობასთან.** ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვი გუშინ, 4 სექტემბერს, გაემგზავრა ყარსის რკინის გზით სადგ. სადახლომდე ბორჩალოს მაზრაში, სადაც მან უნდა ზომები მიიღოს აღნიშნულსა და ახლომახლო მაზრებში ყაჩაღობის მოსასპობად.

*** **შუამდგომლობის უარყოფა.** როგორც ისმის, ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა „ტფილისის ქალაქის საბჭოს უწყებათა“ გამოცემის შესახებ მთავრობას არ შეუწყნარებია.

*** **ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მმართველი** ა. ა. გინცენბერგი, როგორც გავიგეთ, თავს ანებებს თავის თანამდებობას.

*** **ტფილისის საბალოსნო სკოლის** მმართველის თანამდებობის ასრულება, ბ. კრავჩენკოს წასვლის გამო, მიენდო დროებით ამ სკოლის მასწავლებელს ბ. ჯაფარიძეს.

ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველმა პ. ს. კრავჩენკომ შეიტანა თხოვნა დამითხოვეთ სკოლის მმართველის თანამდებობიდანაო.

*** **პორუჩიკის მეფისაშვილის საქმე.** ახალციხელ მემამულის გადამდგარ პორუჩიკის მეფისაშვილის საქმე, რომელსაც ჰბრალდება თავისი ძმის მოკვლის განზრახვა, დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში შემოდგომაზე.

*** **ფინანსთა სამინისტროს განმარტება.** ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ რკინის გზებზე ბრმათა და თვალით ავადმყოფთა სამგზავროდ დაწესებულ შეღავათიან ტარიფით, (რომლითაც უფლება ეძლევათ ჩაჯდნენ მესამე კლასში მეოთხე კლასის ქირით) შეეძლიანთ ისარგებლონ ასეთ პირთ, როგორც მხლებელთან ერთად, ისე ცალკე, თუ ისინი წარადგენენ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის ბრმათა მზრუნველობის საბჭოსაგან (ან მზრუნველობის ადგილობრივი განყოფილებისაგან) დაწესებულ მოწმობებს.

*** **ჭიათურის რკინის გზის გაგრძელება.** გაზ. „ნოვოსტის“ სიტყვით, მალე შეუდგებიან ჭიათურის რკინის გზის გაგრძელებას სადარკვეთამდე.

*** **თამბაქოს მწარმოებელ მექარხნეთა შუამდგომლობა.** რადგან რუსეთის სიგარების მოთხოვნილება ყოველ წლივ მცირდება, საზღვარ-გარეთის ქარხნების მეტოქეობის გამო, რუსეთის მექარხნეები, რომლებიც რუსეთში სიგარეებს ამზადებენ, შუამდგომლობას იწყებენ მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მეტი ბაჟი დაედოს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ სიგარებს. („სინ. ოტ.“).

*** **ახალ-სენაკი.** **ჩხუბი** **ავთიაქარში.** 27 ამ თვეს ღამით ჩხუბი მოუვიდათ აქაურ ვასკოვსკის აფთექის მოწაფეს და მზარეულს ბრძანების აუსრულებლობისათვის, უკანასკნელმა აიღო ბოთლი და თავში დასცა, ისე რომ ბოთლი სრულიად დაიმტვრა და ფარმაცევტს თავი გაუჩეხა. დამნაშავე იმ ღამესვე შეიპყრეს და ვირის აბანოში უკრეს თავი. გამოძიება შეწყვეტილია ფარმაცევტის თ. ნ—ძის თხოვნით, ხოლო დაჭრილი საშიში ავადმყოფი არ არის, ექიმი კახიანი სწამლობს და ა... ლეც შეუდგება მუშაობას.

გურულ-მეგრელი

*** **დ. ლანჩხუთი.** **უხალისო დღეობა.** 29 მარიამობისთვეს დ. ლანჩხუთში ივანე ნათლის მცემლის დღეობა იციან. ამ დღეს აქ ბევრი ხალხი იკრიბება გურიის ყოველ კუთხიდან, უმეტეს ნაწილად მაშინ, როცა კარგი ამინდებია. წელს შორეულ მოგზაურთ ხელი შეუშალა ავდრებმა, რომელიც არ შეწყვეტილა 29 მარიამობისთვემდე, მაგრამ მაინც ბევრი ხალხი მოაწყდა ეკკლესიას. ბუნებამაც ხელი შეუწყო, იმ დღეს მშვენიერი დარი დადგა. ნაწირვებს გაჩაღდა ეკკლესიის წინ მინდორში ცეკვა-თამაში და ცხენებით ჯირითობა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ რაღაც უმხიარულო. ყველას რაღაც მოწყენილობა ეტყობოდათ სახეზე და ცხადათ ჩნდა, რომ აქ თავი მიტომ მოეყარათ, რომ ძველი ჩვეულება არ დაერღ-

ვიათ. ასეთი საერთო უხალისობა ერთმა გლეხმა ასე ამიხსნა: „სოფელი გაღარიბდა, თან და თან ღატაკდება ნივთიერად, გადასახადი მატულობს ყოველ წლობით და თავის რჩენა გასჭირდა, მერე კიდევ წელს მოსავალიც არ არის საქები. თუ ღმერთმა ჰქმნა და ორ სამ კვირეს დარებმა გასტანა, იქნებ გამობრუნდეს, თვარა შენი მტერია, იგი გაფუჭდეს და ბევრმა სარჩო ვერ შეიწიოს, მაშ რაღა გაამხიარულებსო“, დასძინა გლეხმა დასასრულ. შეკრებულობა მშვიდობიანად დაიშალა, ლეკურ-ხანჯალ-რევოლვერის ტრიალი არ ყოფილა და არც არავინ დაშავებულა.

— უხიდობა გვაწუხებს. აქ არის ერთი მდინარე, რომელსაც ვერაგვის ღელეს ეძახიან. წვიმების დროს ამ წყალმა ძალიან გადიდება იცის და მოძრაობითაც ძრიელ მარდია. აი ამ მდინარეზედ არ არის რიგიანი ხიდი. დღევანდელი ხიდი კი რა წამში გატყდება და ჩავარდება წყალში, გამვლელმა არ იცის. ამის გამო შეწუხებულია მთელი სოფლები, რომლებიც ამ ხიდს გვერდს ვერ აუქცევ დ. ლანჩხუთში სასიარულოო, ამიტომ ძრიელ კარგს იზამს ბ. მამასახლისი, თუ მოინდომებს და ამ ხიდს გაანახლებს, რითაც დიდს სამსახურს გაუწევს მთელ საზოგადოებას.

ლანჩხუთელი ვანო

*** ს. ჯვარი (სამეგრელო). უცაბედი მკვლელობა. ამ სოფელში, როგორც მთა-გორიან ადგილში, ძრიელ ხშირად ბუდობს დათვი. ეს ტყის ნადირი არა ცოტა ზარალს აძლევს აქაურ მეფუტკრემეყანეებს. ვის ყანაშიაც კი შეეჩვევა დათვი, მართლაც თვალ-ასაწავად აიკლებს იქაურობას. ამ მოკლე ხანებში აქაურ ვიღაც გლეხი, გვარად ქვანიას ჩაჩვევია დათვი ყანაში და საშინელი ზარალი მიუცია. 19 აგვისტოს, მოხუცებულ მამაკაცს აუღია თოფი და წასულა დათვის საყარაულოდ ყანაში. მისი წასვლა ოჯახში არავის არ ცოდნია. შვილსაც თოფი ტყვიით მაგრა გატენილი აუღია და წასულა ყანაში იმავე აზრით. შესულა თუ არა ყანაში, შორიახლოდან მოსმენია სიმინდის შრიალი, უფიქრნია—კარგ დროს მოვსულვარ, დათვიც აგერ ყოფილაო. ჩაჩოქებული კაცი ნამდვილ დათვათ მოსჩვენებია, დაუმიზნია თოფი და საცოდავი მოხუცი მამა უსულოთ მიწაზედ გაუგორებია. გახარებული ასეთი ნადირობით, მივარდნილა მოკლული „დათვის“ სანახავად, მაგრამ ვაი ისეთ სიხარულს, რომელიც იმავ წამში მძიმე და აუტანელ მწუხარებათ გარდაქცევია. თურმე, მოხუცი მამა მისი უსულოდ გათხლართული ეგდო მიწაზე.

კოლონა

*** დიდი-ჯიხაიში. მადლობის გამოცხადება. უღრმეს მადლობას ვწირავთ იმ პირთ, რომელთაც წიგნებით და ფულით შემწეობა აღმოუჩინეს დ. ჯიხაიშის სამკითხველოს. სია შემომწირველთა: კნ. მარიამ თუმანოვისამ 10 ქართულ-რუსული წიგნი, ღირებული 5 მ., ანტონ ლეგრანმა სხვა-და-სხვა წიგნები 3 მ. საფასო, მ. შარაძემ 16 ქართული წიგნაკი—80 კ., ი. კ. დიდიძემ 2 ქართული წიგნი, ღირებული შვიდ აბაზათ, ივანე რუხაძემ „სახალხო პოეზია“—1 მ. 40 კ., გიორგი ლორთქიფანიძემ თხზულებანი ჭავჭავაძისა, ყაზბეგისა და „გლეხი-კაცის ისტორია“ ორივე ნაწილი, ღირებ. 10 მან., ანეტა ლორთქიფანიძისამ წიგნების განჯინა, ღირებული 15 მან.; მაკრინე კორძაიას ასულმა ცომაიასამ 10 მან. ფულად, სამშე ჟორდანიამ 1 მ., დიმიტრი ყიფიანმა 1 მ., სტეფანე სანებლიძემ 1 მ., ათანასე ჯვარშეიშვილმა 1 მ., მაქსიმე კუბალაშვილმა 50 კაპ.

დიდი-ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველი
პოლიკარპე ლორთქიფანიძე

*** დ. ახალ-სენაკი. კიდევ ქვის სროლა. როგორც ამას წინად მოხსენებული მქონდა თეკლათის მონასტერში ქვის მსროლელი ვითომ გვარად ეჯიბია შეიპყრეს, მაგრამ მიუხედავათ იმისა კიდევ შეიქმნა ყოველ ღამე და დღითაც ქვის სროლა, რის შემდეგ ეჯიბია გაათავისუფლეს. ქვის სროლა მაინც არ შემწყდარა. როგორც მონაზვნები ამბობენ, ის კაცი არის შემდეგის მნიშვნეულებისა ტანად მაღალი, აცვია შავი ჩოხა, წითელი ახალუხი და შავი ბაშლაყი. დაინახავენ კია, მაგრამ შეუპოვრად ისვრის ქვას და გაუდგება თავის გზას. როცა აქ ქვის სროლა დაიწყეს თურმე მაშინ, მონასტერში დროებით ცხოვრობდა ან. კ—იას ქალიშვილი (გაუთხოვარი). ამ შემთხვევის შემდეგ მშობლებმა თავისი ქალი წაიყვანეს თავის სახლში, ს. ისულაში, მაგრამ ერთ ერთ ღამეს, ე. ი. 27 ამ თვეს კ—იას სახლში დაიწყეს ქვის სროლა. ამ დროს ამ სახლში სტუმრათ იმყოფებოდა ბ. ნ. ქ—ია და თოფი ესროლა, მაგრამ იმათ ნაცვლად, ამისა ბელტით ზურგი დაუზილეს. მეორე დღეს შეამჩნიეს ორი კაცის კვალი. აქ ყოველივე საბუთი ხელში გვაქვს და ადვილი მისახვედრია თუ რა ამბავიც არის, ვინ სჩადის ამ ამბავს და გვიკვირს რისთვის ვერ მოუძებნია აქამდის ეს ბოროტ-გამზრახველი და ცუღლუტი ვაჟბატონი. დროა, პოლიცია შეუდგეს ამ რაინდის ძებნას და საზოგადოება შიშს ააშოროს.

გურულ-მეგრელი

*** ს. ბანძა (სამეგრელო). გამოჩენილი ყაჩაღი ქალი. თითქმის ათ წელიწადზე მეტია, რაც ერთი ქალი ბარბალე დანელიას ასული ქურდობს და ყაჩაღობს. ბარბალა დანელიას ქალი 35—40 წლის ქალი იქნება და თავზარს სცემს სოფლელებს. რამდენი თავმომწონე ყმაწვილები ჩამოუხტუნებია ცხენიდან და გაუძარცვავს, რამდენი ავქალობა ჩაუდენია და სასამართლოებში ჰქონია საქმე, მაგრამ ყოველთვის გამომძვრალა და არხეინად დათარეშობს სოფელ-სოფელ სხვის ნაშრომის მისათვისებლად. საკვირველი ის არის, რომ გამოეწყობა ჩოხა-ახალუხით, წუღა-მესტით, ქამარ-ხანჯლით და ვერავინ ცნობილობს. წუღა-მესტს ყოველთვის აცვია, მაშინაც კი, როდესაც ქალურად აცვია.

*** ს. დიდი-ჯიხაიში (იმერეთი). საჭირო განმარტება. „ცნობის ფურცლის“ 614 №-ში მოთავსებული იყო წერილი დიდ-ჯიხაიშში მომხდარ ჩხუბის შესახებ. ეს წერილი მოკლებულია სიმართლეს და ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ აღვადგინოთ ჭეშმარიტება.

სოფ. დიდ-ჯიხაიშში 15 აგვისტოს იციან დღესასწაული მარიამობა და სტუმრობა. მესამე დღემდე სტუმრები მასპინძლებთან რჩებიან და მთელ ამ დროს სმაში ატარებენ. 16 აგვისტოს ადგილობრივი სკოლის უფროსმა გამართა სკოლის ბაღში ლატარია და ბუფეტი იმ იმედით, რომ აქ შეიკრიბება დიდძალი მოდღესასწაულე საზოგადოება და როგორც ლატარიაში, აგრეთვე ბუფეტში კარგი შემოსავალი მექნებაო. იმედი უსაფუძვლო არ გამოდგა და შეიკრიბა თუ არა საზოგადოება, გაშალეს ბაღში მაგიდები, ჩაუსხდნენ მოქეიფე ყმაწვილები და გამართეს ღვინის სმა. ერთს ალაგას ისხდნენ ბარნაბ წერეთელი, კოსტა თათეიშვილი, მიკიტანი იოსებ ნემსაძე და სხვ. მათთან მივიდა რამდენიმე ქალიშვილი, რომელთა რიცხვში ერია ერთი ნემსაძის ქალი და რომელიც, გარდა იოსებ ნემსაძისა, ენათესავება წერეთელსაც და თათეიშვილსაც. წერეთელმა ნემსაძის ბიძაშვილს, როგორც სხვა ქალებს, ისე იმასაც მიაწოდა ჭიქით ღვინო, ქალიშვილმაც გამოართვა და დალია. იოსებ ნემსაძემ იწყინა, როგორ თუ შენ ჩემს ბიძაშვილს საზოგადოებაში ღვინო დაალევინეო, ამოიღო დამბაჩა და შეუტია. წერეთელმა ხმლით მიიწია მასზე, მაგრამ იქ მყოფთ გააშველეს მოჩხუბარნი. წერეთელი წაიყვანეს ქალებმა, ნემსაძე იქვე დარჩა და დაუწყო გინება წერეთელს. დამბაჩა ისევ ხელში ეჭირა, ჩოხის კალთაში ამომალული. შემდეგ დიდი ხნის ლანძღვა-გინებისა თათეიშვილმა უთხრა ი. ნემსძაეს: „დღემდის წერეთელი საყვარელი კაცი იყო შენთვის, დღეს-კი რამ გაგარისხაო?“ ამის პასუხად ნემსაძემ ჰკრა თათეიშვილს დამბაჩა და იქვე გააგორა. ნემსაძე გაიქცა. დაჭრილ თათეიშვილთან მოსავლელად მივიდა ივანე ქაჯაია და სწორედ ამ დროს იგი ოთხ ალაგას მძიმედ დასჭრა ნემსაძის მომხრემ ვიღაც აფხაზმა. საზოგადოება გაიფანტა. ქაჯაია ძლივს გაჭირვებით წავიდა ძალზე დაჭრილი, თათეიშვილი-კი ტყვიით მკერდ განგმირული იქვე ეგდო უპატრონოდ, რომელსაც პირ-ალმა მდებარეს, მკერდიდან ამონატენი სისხლი პირში ჩისდიოდა და კედევაც დაიხრჩობოდა თავისივე სისხლით, რომ დროზე არ მიშველებოდა მათე ლეჟავა.

აი როგორ იყო ნამდვილი გარემოება ამ საქმისა!

გუბელი

## რედაქციისაგან

**ქუთაისში** ერთს მსმენელთაგანს. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება, რადგან ჯერ ერთი თქვენი ვინაობა არა სჩანს წერილიდან და მეორე თვითონ წერილის კილო მეტად შეუფერებელია.

**ჭიათურაში** ბეს. ვაშაძეს. თქვენი წერილი ვერ არის იმდენად საყურადღებო, რომ დაგვიანებულიც კი დაიბეჭდოს, რასაც თქვენც გრძნობთ.

**ს. ფარდის-ციხეში** ს. ნაცვალოვს, თქვენი წერილი არა ჰღირს დასაბეჭდად. დღეობებზე ღარიბ-ღატაკ ხალხისაგან უზომო ხარჯის გაწევა, რომ სასურველია მოისპოს, ეს ათასჯერ გამეორებულია და თქვენც ამის მეტს არაფერს იწერებით. დაგიმადლებთ, რომ თუ ცოცხალ-ცოცხალ ამბებს მოგვაწვდით.

## ყურმოკრული საუბარი

აზნაურის ცოლმა ხალხში მშვიდი ბაასიის დროს, უთხრა ამპარტავნულათ თავის მეზობელ გლეხის ცოლს:

— გასწი, წაეთრიე, შენთან დგომას და ლაპარაკს არც კი ვიკადრებ! რით ვერ გაიგე, რომ შენ სხვა ხარ და მე სულ სხვაო.

დიდი ბაასის შემდეგ ხალხი დაიშალა. გულმავიწყი აზნაურის ცოლი იმავე გლეხის ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ორი პური მასესხე და შენი საპურისწყლე ქვაბიც მათხოვეო.

გლეხის ცოლმა თავი მოარიდა და შორიდან დაუძახა:

— შენ ხომ ჩემთან ლაპარაკს და დგომას არ იკადრებ, კარებიდან შესძა-

ხე, პურსა და ქვაბს და თითონ გამობუვებიანო.

—

სამიკიტნოში. შემოდის ბავშვი და თხოულობს ერთ ბოთლ ღვინოს.

მედუქნე ასრულებს ბრძანებას და ეუბნება ბავშვს:

— შენ პატარა ხარ, შენ ვერ გაგატან, მამაშენი გამოგზავნე.

ბავშვმა ტირილი მორთო.

— რა გატირებს, ბიჭო?—ეკითხება მედუქნე.

— მამა მე კი გამომგზავნის, მაგრამ მე როგორ გამოვგზავნი იმას, ის რომ გაუბედო, ხომ შემჭამსო!

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ახალი აღმოჩენა. შესანიშნავ მეცნიერს მარკონს, რომელმაც გამოიგონა უმავთულო ტელეგრაფი, აღმოუჩენია, როგორც ისმის, ისეთი ღონისძიება, რომლის შემწეობით, ასაფეთქებელ ნივთიერების დაუხმარებლად, შესაძლებელია ჯავშნიან გემის აფეთქება 20 მილის სიშორიდან. ეს ღონისძიება გახლავთ ისევ და ისევ ის ელექტრონი, რომლითაც დღეს სასწაულებრივ საქმეებს ახერხებენ.

## წვრილი ამბავი

—

ბისმარკის თმა. ვიღაც რერიგს, რომელიც ბისმარკს თავთან უჯდა ხოლმე მისი ავადმყოფობის დროს, „ბედნიერება ჰქონია“, როგორც თვითონ ამბობს, თავი უპარსია მისთვის სამი წლის განმავლობაში. ყველა მოპარსული თმა რერიგერს, ბისმარკის ნებართვით, ყოველთვის გულმოდგინედ უგროვებია და შეუნახავს, და ახლა ბისმარკის თმა მისთვის საუნჯეს შეადგენს, რომელიც მას განზრახვა აქვს ნაწილ-ნაწილად ჰყიდოს, და იმედოვნებს, რომ ბისმარკის თვითეულ ბალანში მას კარგ ფასს მისცემენ. რადგან ცნობილია, რომ ბისმარკს მხოლოდ „სამი ღერი ბალანი“ ჰქონდა თავზე, ცხადია, რერიგი ბევრ თმას ვერ შეაგროვებდა და ამიტომ ბისმარკის მოთაყვანეებს უნდა დააწქარონ ამ სამიოდე ღერი ბალნის ნაშთების ყიდვა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი

**ტომსკი.** 2 სექტემბერს რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით დაიწყო წესიერი სიარული ფასიანმა სახალხო და საქონლის მატარებლებმა ირკუტსკამდე.

**ბლაგოვეშჩენსკი.** გაიხსნა განყოფილება რუს-ჩინეთის ბანკისა.

**მადრიდი.** პალატამ მიიღო მშვიდობიანობის ოქმი.

**ჟენევა.** ლუკკენის ალბად ოქტომბერში გაასამართლებენო. მკვლელმა სთქვა, იტალიაში რომ ვყოფილიყავ, უეჭველია, მეფე ჰუმბერტოს მოვკლავდიო.

**კანდია.** ადმირალმა ნოელმა მოითხოვა მუსულმანებისათვის იარაღის აყრა 24 საათის განმავლობაში; გარდა ამისა, ადმირალმა მოითხოვა 48 საათის განმავლობაში უნდა მომიყვანოთ მეთაურნი წინად ქრისტიანების ამომჟლეტელთა და მოგვცეთ ქალაქის სიმაგრენი და ჯებირებიო.

**სეული.** მეფე და მემკვიდრე პრინცი 30 აგვისტოს, საღამოს ნავახშმევს უცბად ავად გახდნენ. ეჭვი აქვთ, ორისავე მოწამვლა უნდოდათო. ორსავე უკეთობა ეტყობათ. დაპატიმრებულია 17 კაცი სასახლისა.

**ჟენევა.** კუბო, რომელშიაც ჩასვენებულია ავსტრიის დედოფლის მცხედარი გაასვენეს რკინის გზის სადგურზე და სამგლოვიარო ვაგონში შეიტანეს. პანაშვიდის შემდეგ მატარებელი დაიძრა. გარშემო სამარებრივი სიჩუმე იყო.

**მადრიდი.** საგასტამ კორტესებს სხდომათა შეწყვეტის დეკრეტი წაუკითხა.

## განცხადებანი


### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ქალაქის გამგეობაში დამდეგ სექტემბრის 7-ხა ამა წლისა, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ახლად შეკეთებულის ქალაქის ორ-სართულიანის ქარვასლისა [მიოევისხეული], რომელიც იმყოფება აბანოების კარებთან და რომელიც შესდგება ოთხი თვალი დუქნიდან და თორმეტი ოთახიდან თავის მოწყობილობით და ორის სარდაფით.

ვისაც ხსენებულ შენობის იჯარით აღება უნდა, შეუძლიან პირობები შეიტყოს გამგეობის სამმართველოში დილის 9-დან 2 საათამდე. (4—4)

### საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Цицiанова № 2. (50—44)

### ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—36)

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со 2-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную газету

**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . 6 руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . 7 руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два рубля.**

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. I. Казарова. (12—6)


Дозволно цензурою. Тифлисъ, 4 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნია